არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საქართველოში

საქართველო UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას 2007 წელს მიუერთდა. სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გავთვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით, ახალგაზრდა თაობისათვის მის გადაცემას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინებას.

კონვენციის მიხედვით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები - ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროები:

- ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (ლეგენდა, იგავი, ზეპირი გადმოცემა, თქმულება და ა.შ.);
- საშემსრულებლო ხელოვნება (სიმღერა, ცეკვა, სახიობა და ა.შ.);
- საზოგადოებრივი პრაქტიკები (თამაშობა, დღეობა, დღესასწაული, კულინარია და ა.შ.);
- გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ-წესები და ა.შ.);
- ხელოსნობის დარგები და ტექნიკები (ხალხური რეწვა: თექა, მეტალი, თიხა, ფარდაგი და ა.შ).

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა დაუნჯებულია ხალხში გავრცელებული ადათ-წესების, ჩვეულებების, ზეპირი გადმოცემის, სიმღერის, თამაშობისა და სხვა სახით. ასევე, დოკუმენტირებულია კერძო და სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებში, სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში, სხვა დაწესებულებებში.

2012 წლის 24 იანვარს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის #3/28 ბრძანებით დამტკიცდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სააღრიცხვო ბარათი და მისი შევსების წესი.

https://www.heritagesites.ge/uploads/files/5b7e9011839d6.pdf

https://www.heritagesites.ge/uploads/files/5b7432febfc2e.pdf

UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შესულია სამი ნომინაცია საქართველოდან:

ქართული მრავალხმიანობა (2001,2008)

ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2013))

ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (2015))

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულინ ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს შემდეგ ელემენტებს:

- **ქვევრის ღვისი დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი**
- **"დედაენა" (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი)**

- **ქართული ჭიდაობა**
- **ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა**

- **ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას**